

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრირებული კონცერტების, გამოფენების, დადგმების ხელშეწყობა

კონკურსის პირობები:

1. კონკურსის მიზანი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაცია საზოგადოებაში, შშმ პირთა შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენითა და პოპულარიზაციით, ქვეყანაში ინკლუზია-ინტეგრაციის პროცესის განვითარება. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს „ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ღონისძიებიდან „შშმ პირთა მხარდაჭერა“ ხელი შეეწყობა შშმ პირთა ინტეგრირებულ კონცერტებს, გამოფენებს, დადგმებს

2. კონკურსის პირობები

- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია იურიდიულ პირს;
- კონკურსში დაიშვება კონკურსანტის მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი მხოლოდ ერთი პროექტი;
- სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 7 000 (შვიდი ათასი) ლარს;
- პრიორიტეტი მიენიჭება თანადაფინანსების მქონე პროექტებს, ეთნიკურ უმცირესობათა ახალგაზრდა თაობის წარმომჩენ პროექტებს;
- კონკურსში გამარჯვებულ პროექტებს გამოავლენს და რეკომენდაციებს შეიმუშავებს საკონკურსო კომისია.

3. საკონკურსო პროექტების წარმოდგენის პირობები

- პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ კონკურსისათვის შემუშავებული განაცხადის ფორმის შესაბამისად და მას უნდა ერთოდეს წერილი მინისტრის სახელზე კონკურსის დასახელების მითითებით და საკითხის მოკლე აღწერით. პროექტი და თანდართული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს CD ვერსიის სახითაც, მასზე მითითებული უნდა იყოს იურიდიული პირის სახელწოდება;
- პროექტს უნდა ერთოდეს თანხმობის წერილი იმ ორგანიზაციიდან, სადაც დაგეგმილია ღონისძიება;
- თანადაფინანსების მქონე პროექტს უნდა ერთოდეს თანადაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. კონკურსის განრიგი

- საკონკურსო პროექტების მიღება იწყება 2017 წლის 20 თებერვლიდან;
- პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2017 წლის 20 მარტის 17:00 სთ;

- საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტების განხილვა შედგება 2017 წლის 23 მარტს;
- კონკურსის შედეგები გასაჯაროვდება 2017 წლის 27 მარტს;
- კონკურსში გამარჯვებული პროექტი უნდა განხორციელდეს 2017 წლის ბოლომდე;
- კონკურსზე შემოტანილი მასალა უკან არ ბრუნდება;
- პროექტი და ყველა თანდართული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;

კონსულტაციები გაიმართება ყოველ ოთხშაბათს, 14:00 საათიდან 18:00 საათამდე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტში (ტელ: 299 04 80).